ყოველდღიური გაზეთი ფასი 7 კაპ. კვირა, 14 მარიამობისთვე 1916 წ. № 181

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—8-მდე. ხელთნაწერები უკან არ ბრუნდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
... განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

პოლიტ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიკო და სალიტერატურო გაზეთი
ყოველდღიური გაზეთი საქართველო
ხელისმოწერის ფასი: ...
რედაქტორ-გამომცემელი ...
Почтовый ящикъ № 76.

... გრიგოლის ასული, ...
დიმიტრი გრიგოლის ძის
## ზიდარზიძისა
გარდაცვალებას სოფელ დიდომში.
დაკრძალვა მოხდება იმავე სოფელში წმინდა მარინეს ეკლესიის გალავანში 16 აგვისტოს წირვის შემდეგ. წირვა დაიწყება 9½ საათზედ დილით.
(2-303-2)

თბილისის სათავად-აზნაურო ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტი ღრმა მწუხარებით აცხადებს გარდაცვალებას უხვი შემომწირველის
## სალომე გეჟანის ასულის
## გურგენიძისას
ცხედარს გამოასვენებენ კვირას, 14 აგვისტოს, დილის 12 საათზედ, არამიანცის საავადმყოფოდან ხოჯივანქის სასაფლაოზედ.
(1—304—1)

## ახალი კლუბი
**ერთი კვირის პროგრამა 15—21 აგვისტომდე.**

**ორშაბათი**—ოპერეტკა.
**სამშაბათი**—სიმფონიური კონცერტი ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.
**ოთხშაბათი**—სიმფონიური კონცერტი გესის ლოტბარობით. ბენეფისი როსტენისა, მონაწილეობს ვიკტორა-პეტიპა.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა—საზანდარი—სამხედრო ორკესტრი.
**პარასკევი**—სინემატოგრაფი—კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა გესის ლოტბარობით.
**შაბათი**—სიმფონიური კონცერტი ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით, მონაწილეობს ი. პ. სარაჯევი.
**კვირა**—საბავშვო საღამო—სინემატოგრაფი და სამხედრო ორკესტრი.
დასაწყისი: კონცერტებისა სალ. 9 საათზე.
" სპექტაკლისა 8½ საათზე.
" სინემატოგრაფისა 8½ საათზე.
**კლუბში** შესასვლელი ფასები ჩვეულებრივია. ორშაბათს, სამშაბათს და შაბათს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კაპ., მანდილოსნებისა და სტუდენტებისა—65 კაპ.
(1—215—1)

## განცხადება
გამგეობა კახეთის მეურნეობის დაწესებულებათა კავშირისა იწვევს ინსტრუქტორ-რევიზორს.
ჯამაგირი წლიურად 1800 მანეთი, სამგზავრო ბილეთი მეორე კლასისა, დამატებით დღიურად 5 მანეთი.
თხოვნები უნდა გამოიგზავ. კავშირის გამგეობის სახელობაზედ ქ. თელავში
(5-214-1)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
## კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში" შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური ხემელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია.

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში ხაუცხოვო ნამდვილი
## კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

თბილისის ქალაქის ტრამვაის დირექცია
## საჯაროდ აცხადებს
თანახმად 4 მარიამობისთვეს ქალაქის საბჭოს დადგენილებისა ღამით მავალი
## რიცხვი ვაგონებისა
თანდათან შემცირდება და პირველ სექტემბრიდან ღამით მიმოსვლა სრულებით შესწყდება
(1-216-)

## ახალი მელანი
## კოტე ონიკაშვილისა
მელანი ასლის ასაღებადაც („კაპიროვკისთვის") კარგია
**დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგ ფასებში**
ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ეღირება: გირვანქა—1 მ., ½ გირვანქა—50 კაპ. ¼ გირვანქა—30 კაპ.
ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.
გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაეგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.
**მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს**
**მისამართი:** ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4.
(თ.—202—)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
## ა. დ. შაჰაზაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სალ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოხტაქარი
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ვამზადებთ პირობით
პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მეცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.
**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1.
(თ-128-23)

დ. ზესტაფონში
ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
## კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

### თბილისი, 14 მარიამობისთვე.

**ლიკვიდაციის საქმე ღ შავი ქვის საბჭო.**

სულ თვე, თვე-ნახევარში დაამთავრებს თვის მუშაობას სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს „ჰელზენ-კირხენისა" და „კავკასიის სამადნო საზოგადოების" მამულების შეფასება. ამ კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ, ლიკვიდაციის საქმე უფრო სწრაფის ნაბიჯით წავა და შესაძლებელია ჭიათურის ამ მამულებს სულ რაღაც სამ თვეში ახალი პატრონიც გაუჩნდეს. დღეს ჩვენ ლაპარაკი არ მოგვიხდება იმაზედ, თუ რა ღირებულებას წარმოადგენს ეს ორი ხსენებული მამული არც იმაზე, თუ რა ზომ დიდია მათი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებისთვის. ამ საკითხს სხვა და სხვა დროს ჩვენმა გაზეთმა წერილი მიუძღვნა კიდეც. ეს საქმე თავის თავადაც იმდენად თვალსაჩინო და ცხადი იყო, რომ ქართულ პრესას დიდი ხანი არ დასჭირებია ქართველი მკითხველი რომ დაერწმუნებია, რომ იგი დიდი მომგებიანი და თანაც დიდი ეროვნული საქმე იყო. უბრალო ცნობა, რომ ჭიათურაში გერმანელების მამულები იყიდებოდა, საკმაო შეიქმნა, რომ ყოველგან, ჩვენი საზოგადოების შეგნებულ წრეებში, ერთი აზრი და ერთი გრძნობა დაბადებულიყო, სახელდობრ ისა, რომ ეს მამულები ქართველობას შეეძინა. იშვიათი მოვლენაა ისეთი ერთსულოვნობა და ხალისი, რომელიც ამ შემთხვევაში გამოიჩინა ქართველმა საზოგადოებამ. განსაკუთრებით ეს დასავლეთ საქართველოზე ითქმის. ყოველს ქალაქში ამის თაობაზე საგანგებო კრებები გაიმართა; კრებებს უაღრესად სერიოზული და საქმიანი ხასიათი ჰქონდა. კრებას ახდენდა საქმის ხალხი, რომელსაც ქონება მოსდევდა შესაფერი თანხა გამოეღო ამ საქმის მოსაგვარებლად. ფულის შოვნისა და შეგროვების შიში არავის ჰქონდა, უკეთუ ეს საჭირო იქნებოდა. ყველას აწუხებდა მხოლოდ ერთი რამ, ისა, თუ ვინ გასწევდა თაოსნობას ამ საქმეში, თუ ვინ და რომელი დაწესებულება უნდა წამოგვეყენებინა წინ, რომ მას სხვა კონკურენტებთან შედარებით, მეტი ჰქონიყო მთავრობის ნდობა და სიმპატია და გამარჯვების შანსები.

ეს საკითხი მართლაც მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რადგან ყველამ უწყოდა იმ კერძო პირებისა თუ საზოგადოებათა დიდი ფინანსიური წონა, რომელნიც ამ ჭიათურის მამულის მყიდველებად გამოდიოდენ. საჭირო იყო ჩვენის მხრით ისეთი ვინმე გამოსულიყო, სახელსაც განსაკუთრებული უპირატესობა ექნებოდა ამათთან შედარებით, არც ამ საკითხის შესახებ დაბადებულა ორი აზრი. ქართველმა საზოგადოებრივმა აზრმა ერთხმად მოითხოვა, რომ ამ დიდი საქმის მოგვარება თავს ედო ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს. ეს აზრი გამოითქვა წერილებში, დეპეშებში და კრებებზე. მთელი თვის განმავლობაში ამ საკითხზე წერა, ბჭობა და აზრის გაცვლა-გამოცვლა საზოგადოებაში არ შეწყვეტილა. ყველა საკითხი ჭიათურამ დაჩრდილა და მომქმედი, საქმიანი ხალხის ყურადღებაც შებოჭა. შავი ქვის მრეწველთა საბჭო ყველა ამისი მოწმე იყო.

მართალია, მას ქართველი საზოგადოების ამ ერთსულოვან დეკლარაციაზე არც ოფიციალად გაუცია პასუხი და არც არა ოფიციალად, მაგრამ იმ ხანებში ქუთაისის გაზეთებში ცნობა დაიბეჭდა, საბჭოს თავმჯდომარემ და წევრებმა სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ქუთაისში გამართულ კრებებზე და აღუთქვეს შეკრებილ საზოგადოებას, რომ საბჭო ყოველ ღონეს იღონებდა რათა ეს საქმე ქართველების სასარგებლოდ მოგვარებულიყო. მართლაც და ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ საბჭოს უყურადღებოდ დაეტოვებინა ქართველი საზოგადოების ხმა.

ქართველ საზოგადოებასა და საბჭოს შორის დიდი საქვეყნო საქმის გამო უფსკრულის გათხრა მეტისმეტად სამწუხარო ამბავი იქნებოდა და საბჭოს თავმჯდომარისა ტაქტი, გამოცდილება და გონიერება უტყუარ გარანტიად მიგვაჩნდა, რომ ეს არ მოხდებოდა. საბჭო თითქოს თან და თან უახლოვდებოდა საქმეს. მან გამოითხოვა ნებართვა, რომ სალიკვიდაციო კომისიაში საბჭოს ორ წარმომადგენელსაც ადგილი მისცემოდა.

მაგრამ სამწუხაროდ, საბჭოს თავმჯდომარე, ბ-ნი ზდანოვიჩი ავად გახდა და მეგობრებიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ შავ დღეში მას გარს შემოეხვივნენ. ხოლო ჭიათურის საქმე თავის გზით მიდის. გარემოება არ გვიცდის, მას არც ჩვენი მწუხარებისა ესმის რამე და არც ჩვენი ლხინისა. არ ვიცით, კეთდება თუ არა რამე საბჭოს მხრით, იმ საბჭოს მხრით, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ ერთხმად დასახა მთელს საქართველოში ყველაზედ უფრო ღირსება-მოსილ ორგანოდ ჭიათურის საქმის მოსაგვარებლად. საზოგადოება სწუხს ბ-ნ ზდანოვიჩის ავადმყოფობას, საზოგადოება სწუხს იმასაც, რომ არაფერი ესმის საბჭოს საქმიანობისა. საბჭოს თავმჯდომარის მეგობრებს, საბჭოს წევრებს, მართებთ თავმჯდომარის ავადმყოფობა ამ საქმეს არ დაამჩნიონ; შრომა ერთი ორად გაადიდონ და საქმეს გაუძღვენ ისე, როგორც ამას ჩვენი ინტერესი მოითხოვს. ხოლო ეს ინტერესი ქართველმა საზოგადოებამ ადრევე აცნობა მას.

და დღეს საზოგადოებას ჰსურს გაიგოს, ილვწის თუ არა ის, ვისზედაც იმედს იგი ამყარებს. ნუ თუ საზოგადოების ეს კანონიერი გრძნობა გაუგებარი უნდა დაურჩეს იმას, ვისიც მისი დაკმაყოფილება მართებს და შეუძლიან?!

## საერობო თათბირის აპოლოგია
(ვ. დ.-ს წიგნის და „ნოვოე ვრემიას" წერილის გამო)

ბ

ქართველი ერის კულტურული და პოლიტიკური ინტერესების მიხედვით იდეალად უნდა ჩაითვალოს კავკასიის ეროვნებათა ტერიტორიალი გამიჯვნა, რათა ყოველი ერის სამეურნეოდ დანახარჯი ძალ-ღონე მისავე სოფელს და ქალაქს აშენებდეს. ასეთი აზრი დეკლარატულად, მგონი ერთხელ, კიდეც იყო გამოთქმული. სახელდობრ, 1905 წელს, მოსკოვში დაიბეჭდა წიგნად ბ-ნ ერისთავ-შერვაშიძის „მოხსენება ქართველი ერის საჭიროებათა", სადაც ერობაზე სწერია: „საქართველო უნდა გამოიყოს ცალკე თვითმართველ საერობო ერთეულადო." მაშ, რაა სადავო ჩვენსა და სომხებ შორის, თუ ტერიტორიალად განცალკევებულ ერობებს ვაარსებთ?—საუბედუროდ, სწორედ განცალკევებაა სადავო! ისტორიული სინდისი და რეალი ეროვნული პოლიტიკის მოსაზრებანი გვაუფლებს მოვითხოვოთ ჩვენი ქვეყნის მმართველობის ყოველივე ცვლილების შეფარდება 1783 წლის დიად იურიდიულ აქტთან, რომლითაც საქართველომ თავისი თავი რუსეთის იმპერატორს „შეუყუდნა". სომხეთა საერობო განზრახვა კი ხელს ახლებს ამ აქტით და საუკუნეთა მიერ სა-ქართველოდ ცნობილ მიწა-წყალს. სომხებს სურთ საქართველოში სამხრეთიდან შესავალი კარი ჯერ სომხეთათვის გამიჯნულ ერობაში მოაქციონ და შემდეგ სომხეთა ავტონომიაშიაც. „ჰორიზონის" მიერ გამოცხადებულ „ოლქების" მიხედვით, ჯავახეთი, ან ახალქალაქის მაზრა, ყარსისა და ყაგიზმანის მაზრასთან ერთად უნდა შევიდეს მეორე სომხურ „ოლქში"; სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტრის ცნობილის ევანგულოვის პროექტის არ იყოს, ეს მოასწავებს ქართლიდან ჯავახეთის საბოლოო გამოთიშვას; ამის შესაფერი რუკაც კი დაიბეჭდა და ბ-ნ ლაგოვის წიგნს „არმენიას" დაურთეს... სანამ ჯავახეთი თბილისის გუბერნიით ისაზღვრება, იგი ეკონომიურად საქართველოს ნაწილია და ყველა ჩამოსული, ვინც იქ ბინადრობს, ჩვენს პოლიტიკურ ბედს დაემორჩილება; ჯავახეთის ყარსის ოლქში გადარიცხვა კი, თუნდაც საერობო მმართველობის მოსაზრებით, მას ერთბაშად გაუწყვეტს საქართველოსთან შემაერთებელ ძაფებს; თვით საფლავებს და ნანგრევებს აღმოფხვრიან, რათა ქართულად ღაღადს თავი მიანებონ... მაგრამ უფლებისათვის თავდადებული საქართველო ვერასოდეს ვერ დასთმობს თავის კარებს;—ჯავახეთის მფლობელობა სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქართველთათვის, როგორც უკვე მომწიფებულ კოლონიზაციისათვის, აგრეთვე ბუნებით სტრატეგიული პირობებით (რაც საკმაოდ დასაბუთებულია ბატონ ი. გე—ლის ფრიად ყურადსაღებ მონოგრაფიაში); დიახ, სწორედ ჯავახეთია —ქართველ-სომეხთა ადრინდელი საცილობელი და ვაი თუ მან დაბოლოს საქართველოს ულსტერობაც არ იკმაროს და ახალ მაკედონიად გადაიქცეს!... ახალქალაქის მაზრის გამოყოფის და საზოგადოდ საქართველოს ადმინისტრატიული გადამიჯვნის დაპირება უკვე რამოდენიმე წელია, რაც ქართველის გულს სწამლავს; და საერობო თათბირის წინა დღეებში მარტო „ჰორიზონის" გულისთქმანიც კმაროდა სომეხთა საწინააღმდეგო ფსიხოლოგიური ჰავის შესაქმნელად; მართალია, თვით თათბირის დროს სომხებმა „ტაქტიკურის" მოსაზრებით უარი სთქვეს თბილისის საგუბერნიო საზღვრების ხელის შეხებაზე; ისინი ითხოვდენ სომხურ „უჩასტკებს"—ოლქებს და გადამიჯვნას ერევნის, განჯის და ბაქოს გუბერნიებში, მაგრამ ამით იქაური მეზობლები თათრებიც აიმხედრეს და ვერც ქართველთა გული მოიბრუნეს, რადგან სომხური „უჩასტკებისათვის" მარტო სამი გუბერნიის გადამიჯვნა შეუძლებელია—მას მთელი ამიერ-კავკასიის ადმინისტრატიულ

საზღვრების გადამიჯვნა მოჰყვება; ამის გარდა თვით მოთათბირე სომხებმა გააღრმავეს ანტაგონიზმი, რომელსაც საქართველოს მომავალ ერობაში მათი თავის გასაბატონებლად მათთვის ხელსაყრელი ცენზი და ქალაქთა ცალკე გამოყოფა მოითხოვეს; დღესავით ნათელია, რომ სომხებს სწორედ იმიტომ დასჭირდათ რუსეთში არსებულ მიწის ცენზის ფორმის, და არა ნორმის, შეცვლა, რომ გადასახადის მიხედვითი ცენზით სომხის ვაჭრებსა და მრეწველთ არჩევნებში გამარჯვება დარჩენოდათ; ქალაქის ცალკე საერობო ერთეულად გამოყოფაც მისთვის შეიყვარეს, რომ საქართველოს დედა-ქალაქის მეურნეობის გამგებლობა გარემო ქართული სოფლის ფინანსიურ და პოლიტიკურ გავლენას ასცდენოდა; ქალაქთა გამოყოფის საკითხი ყველაზედ უფრო კარგად დამუშავებულია ბ-ნ ვ. დ—ს წიგნში: აქ მოყვანილია მეუმრავლესე ა. ხატისოვის წინააღმდეგი დებულებანი მეუმცირესე ვ. ა. დემიდოვისა, მაგრამ საკითხის ნაციონალური სარჩული აქაც დამალულა; „ძველი კავკასიელის“ არ იყოს, სწორედ აქ უნდა ვეძიოთ საერობო თათბირის მონაწილეთა ეროვნული დაყოფის მიზეზი; და სწორედ საღი ეროვნული აქტი იყო, როდესაც მოთათბირე ქართველებმა თათრების დახმარებით დაუპირდაპირეს ყველაფერის მიმჩემებელ მეზობელთა პრეტეხზიებს არსებული საერობო კანონი, რომლის საგუბერნიო და სამაზრო წესი უარჰყოფს ჩვენდა საუბედუროდ გამოგონილ „უჩასტკებს“ და რომლის ძიწისმიხედვითი ცენზი არასოდეს არ გაამარჯვებიებს სომხებს; 1890 წლის დებულებაზე უკეთესი ფარი კი არ იყო და სწორედ ეროვნული და არა კლასობრივი ტაქტიკის ბრძანებლობამ აალებია იგი ხელში ქართველთ, თორემ განა ქართული პოლიტიკა მოითხოვს ვ. დ—საებ პრინციპიულ თავის მართლებას:—1890 წლის დებულება მისთვის მოვითხოვეთ, რომ—„მთელ რუსეთთან ერთად საზიარო კანონით და არა გახსაკუთრებულად ცხოვრება გვსურსო“? ეს ხომ მითია და რაც მალე გაიფანტება მისი მავნე ძალა, მით უფრო სასარგებლოა ეს საქართველოსათვის; საერობო თათბირის აპოლოგეტს ჰმართებს საერობოდ მოთათბირე ქართველთა, თუ გნებავთ ხან და ხან ინტუიტური ეროვნული პოლიტიკის წინ თავის მოხრა და იმაზე ზრუნვა, რომ post factum, ხვალინდელის დღისთვის მაინც შევქმნათ აწმყოის ინტერესების და წარსულის ტრადიციის მიხედვით საერობო რეფორმის წმინდა ქართული იდეოლოგია, თორემ მარტო რუსული საზოგადოების გულის ტოგება, ავთოკეფალიის არ იყოს, ძნელი საქმეა და დავთარს დაგვიბნევს. დასასრულ, en passant, საჭიროა ბ-ნ ვ. დ—ს წიგნის რამოდენიმე კერძო ნაკლის აღნიშვნა; ავტორი ამტკიცებს,არავითარი ქართველ-თათრული ბლოკი არ ყოფილაო, ეს „ზაკავკაზსკაია რეჩის“ გაზრდილი „იხვიაო“ და თანაც გულმოსულია, მაჰმადიანთ თათრებს რისთვის უწოდებო, და სწერს: „უმრავლესობა რუსთა, ქართველთა და მაჰმადიანთა ეროვნებათა (!) წარმომადგენლებიდან შესდგაო“... „მაჰმადიანთა ეროვნება“ სადაური თერმინია?.. ჩვენ მაინც არ შეგვენდობა სარწმუნოების და ეროვნების ერთი მეორეში აღრევა!.. შემდეგ, ბ-ნი ვ. დ. ცალმხრივ ყბედობათ სთვლის ქართველ თავად-აზნაურობის რუსულ პრესაში უარყოფითად დახასიათებას, მაგრამ ამავე დროს თვითონვე კვერს უკრავს ბ. ბ. ვესელოვსკების მიზრჯნილ ლამენტაციებს, როდესაც დაუწერია: „რასაკვირველია ქართულ თავად-აზნაურობის კულტურული როლი ამჟამად არარა არისო“! ბ. ვ. დ. სწერს—„1890 წლის ერობაში საუკეთესო ნაწილად სწორედ ფორმა უნდა მივიჩნიოთო“, მაგრამ თვითონვე აბათილებს ამ სიკეთეს, როდესაც 1890 წლისათვის სრულიად უცხო საერობო ფორმას—წვრილ საერობო ერთეულს აღიარებს... სახელმწიფო საოათბიროს საერობო დაპირებანი მოხსენებულია მხოლოდ 1913 წლის თარიღით, თითქოს მას აქეთ სათათბიროს სათვითმართველო კომისიას ან მცირე კომისიას არაფერი გარდაეწყვიტოს. დაბოლოს, უთუოდ ნაკლია, რომ ბ-ნი ვ. დ. სრულიად არ იხსენიებს ისეთ თავისთავად ფრიად საგულისხმო საკითხს, როგორიცაა ნაციონალური კურიები, თუმც ამაზე საერობო მოთათბირეთ მსჯელობა, როგორც ვიცით, ჰქონდათ.

ვ. ვეშაპელი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ყოვლად შეუძლებელია იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ ხელთაა ახლა კავკასიის ბრძოლის ასპარეზის შესახებ, გადაჭრით რისამე თქმა. თუ ერთ დღეს ოფიციალი ოეპეშა ფრიად საგულისხმო ამბავს მოგითხრობს, მეორე დღეს ან სდუმს ან კიდევ გამცნობს, რომ მდგომარეობა უცვლელიაო. მასთანვე ეს სხვა და სხვაობა ცნობებისა პერიოდულად ხდება, და საშუალებას გისპობს სავსებით და დალაგებით გაითვალისწინო ოპერაცია. მაგალითად, იმ საგრძნობ მარცხის შემდეგ, რომელიც ოსმალთ მოუვიდათ გუშინდელ დეპეშის გადმოცემით, ჩვენ ახლა აღარ ვიცით რა მოხდა ან რა განსაცდელში ჩავარდა დანარჩენი მტრის ჯარი. უეჭველია მთავარ-შტაბი საიდუმლოთ სთვლის, ჯერ-ჯერობით დაწვრილებით გაგვაცნოს მდგომარეობა ბრძოლის ველზე. მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ოფიციალ განმარტებას გავიცნობთ, მაშინ მხოლოდ შეგვეძლება აღვნუსხოთ, თუ რად გათავდა ასე სამარცხვინოდ ოსმალებისაგან დიდებულ გეგმაზე აშენებული ოპერაცია.

აღმოსავლეთ ასპარეზზე თითქოს ოდნავ ახმაურდა ჩრდილოეთის ბრძოლის ხაზი. რამდენიმე ალაგას მათ გააჩაღეს საარტილერიო ცეცხლი და შემდეგ იერიში მიიტანეს. ამავე დროს მტერი სცდილობდა წინ წამოეწია კოველის მიმართულებით; თუ გავიხსენებთ, რომ გუშინ და გუშინ წინ გერმანელები მდ. სტოხოდის დასავლეთის ნაპირზედაც სცდილობდა შეტევას, მაშინ ცხადია კარგა მანძილზე საერთო შეტაკებები დაწყებულა. არა ერთხელ გვითქვამს, რომ სწორედ ამ მიდამოებიდან უნდა ველოდეთ გერმანელების, მიერ ოპერაციის დაწყებას. გალიციიდან ცნობა არ მოსულა. დანარჩენ ადგილებშიაც ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

X.

## ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

**პეტროგრადი**, 12 მარიამობისთვე. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. საღამოთი ათ მარიამობისთვეს სოფ. საბილიკის რაიონში გერმანელებმა მოზხამულ გაზების ღრუბლები გამოუშვეს. შუადამისას, 11 მარიამობისთვეს, ცირინის რაიონის სამხრეთით ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ იერიშით წამოვიდა რუსთა თხრილებზე, მაგრამ იერიში მოგერებულ იქმნა. კოველის მიმართულებით სოფ. ველიცკის რაიონში გერმანელები შეეცადნენ იერიშით წამოსვლას, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ.

**კავკასიის ფრონტი**. ვანის მიმართულებით რუსთა წინსვლა გრძელდება. მოსულის მიმართულებით რუსები სდევნიან ოსმალთა განადგურებულს დივიზიას.

**პარიჟი**, 12 მარიამობისთვე. სომის ჩრდილოეთით ნაშუადღევს 5 საათზე ფრანგებმა იერიში მიიტანეს მორეპის რაიონში გერმანელთა პოზიციებზე, ნაწილი სოფლისა აიღეს და 2 კილომეტრის გასწვრივ 200 მეტრზე წაიწიეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა კონტრ-იერიშები მიიტანეს ტიომონისა და ფლორის შუა, მაგრამ მოგერებულ იქმნენ. ფლერის აღმოსავლეთით რამოდენიმე წაიწიეს ფრანგებმა.

**ლონდონი**, 12 მარ. „ცეპელინმა“ 15 ყუმბარა ჩამოაგდო, ზარალი გამოურკვეველია.

**რომი**, 11 აგვისტო. ოფიციალი. იტალიელებმა კიდევ წარმატება ნახეს. სასტიკი კონტრ-იერიშებით ავსტრიელებმა მოახერხეს და დაიბრუნეს ზოგიერთა დაკარგული ადგილები. ყოველ მხრივ საარტილერიო სროლაა. ჩვენმა ჰაეროპლანმა ავსტრიელთა ერთი მფრინავი ჩამოაგდო რანცანოს მახლობლად.

**ლონდონი**, 11 მარიამობისთვე. ინგლისის ოფიციალი ცნობა საფრანგეთიდან. ტიეპვალიდან სამხრეთით 30 წყრთით წინ წავიწიეთ, მოწინააღმდეგეთა თხრილები ავიღეთ სიგრძით 40 წყრთა, ამასთანავე მრავალი ტყვე ვიგდეთ ხელთ. სასროლ ყუმბარებით მოტანილი მოწინააღმდეგეთა იერიში ბეზანტენ-ლე-პტიდან ჩრდილოეთით ადვილად მოვიგერიეთ. საღამოთი მოწინააღმდეგე ჩვენს ფრონტს ზარბაზნებს საშინლად უშენდა და ჩვენც არტილერიით ვუპასუხებდით.

**პარიჟი**, 11 მარ. ოფიციალი ცნობა სალონიკის სამხედრო ასპარეზის შესახებ. მოკავშირე ჯარების მარჯვენა ფრთის გასწვრივ მოწინააღმდეგე სტრუმის მარცხენა ნაპირზე მაგრდება. სტრუმისა და მაგლენიცის ველის შუა ინგლისელ-ფრანგების ჯარმა ადვილად მოიგერიეს ბულგარელების იერიშები. დორიანის ფარგალში სერბების ჯარი განაგრძობს შეტევას; უკიდურეს მარცხენა ფრთაზე ძლიერი კონტრ-იერიშით ხელახლა დაიპყრეს სიმაღლე „1506“, რომელიც სერბებმა 10 აგვისტოს დაჰკარგეს დილით.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### პოლკოვნიკი რეპინგტონი

„ტაიმსის“ ფურცლებზე პოლკოვნიკი რეპინგტონი სამხედრო მიმოხილვის მორიგ წერილში სწერს: „ოსმალთა 54 დივიზია უკვე 48 დივიზიაზე ჩამოვიდა,აქედან უკანასკნელი 26 დივიზია გაგზავნილია კავკ.ფრონტზე,დანარჩენი განაწილებულია იემენში, მესოპოტამიაში, ორი დივიზია ჰყენიათ სირიაში. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ოსმალთ სტამბოლისა, დარდანელისა, სმირნისა თუ სოფიის დასაცველადაც სჭირიათ ჯარები, მაშინ დავინახავთ, რომ ჰინდენბურგს ცოცხალი ძალებით ველარ გაუწევენ დახმარებას. შესაძლებელია, გერმანეთს კიდევ ორ მილიონიანი რეზერვი ჰყავდეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაჭრილი ტყვეები მალე რჩებიან და ისევ ბრძოლის ველზე მიდიან. ამას უნდა დავუმატოთ 1916 წ. და 1917 წლ. გასაწვევი ჯარისკაცები. ამას გარდა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ქარხნების მუშები, რომელთა ადგილზეც ეხლა ტყვეებს ამუშავებენ. ყველა ეს ჯერ კიდევ საგრძნობელი ძალებია. ძლიერი ნიჭი ჰინდენბურგისა კიდევ ბევრს რამეს გამონახავს ჯართა შესავსებად, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მოკავშირეთ ველარა ძალა ვერ შეაჩერებს და ავსტრია-გერმანეთი საბოლოოდ ქედს მოიხრისო.

### ფრანგებისა და ბერძნების ჩხუბი

დრამის რაიონში ფრანგ ჯარისკაცებსა და ბერძნებს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ და შემდეგ შეტაკებაზე გადავიდნენ რეკვიზიციის გამო. შეტაკების დროს რამდენიმე მოკლულია და მრავალიც დაჭრილი.

### საბერძნეთში

ათინიდან ცნობა მოვიდა, მოკავშირეები ელჩების პირით შეეხმაურნენ ზაიმისს და მოსთხოვეს დაუყოვნებლივ გენ. სარაილის არმიას შეუერთდით,თორემ შემდეგ დაგვიანდებით, რადგანც მოკავშირეთა გამარჯვება აუცილებელიაო. შემდეგ ზაიმისმა მიიღო ბულგართა და გერმანელთა ელჩები. ესენი დაამშვიდა, შიში ნურაფრისა გექნებაო. ზაიმისმა დაუყოვნებლივ მინისტრთა საბჭო მოიწვია და ეს ამბავი აცნობა. მოკავშირეთ რომ უარი უთხრა, ეს ძლიერ მოუწონეს მინისტრებმა. მეფეც ასეთ თვალსაზრისზეა. ახლო მომავალში მინისტრთა კაბინეტის შეცვლას მოელიან და ასეთს საპასუხისმგებლო საკითხზე დაშურება არ იქნებაო.

### ბულგართა ლაშქრობა

ბულგარებმა ჯერ ფლორინისკენ გაილაშქრეს და შემდეგ დაუყოვნებლივ მთელს ფრონტზე დემირხისამიამდე გაიშალნენ. გევგელი, დორიანი, სერესი და დრამა, ყველა ეს ბერძენთა ქალაქები, სწრაფად ხელთ იგდეს. უკიდურესობამდის გაწვავდა საკითხი ამ ამბების გამო. მოკავშირენი პასუხს ითხოვენ. საბერძნეთის სამინისტროს სწრაფი ყრილობა მოხდა. დაესწრნენ მათი გენერლებიც, სამხედრო შტაბის უფროსები და სხვები. კრება მეფის სასახლეში მოხდა. პოლიტიკურს წრეებში ჰფიქრობენ, ამ სწრაფ კრებაზე განხილულ იქმნა მხოლოდ ძალმომრეობის პოლიტიკური მხარე და სხვა არაფერიო. ამასთანავე ათინაში მყოფი ბულგართა ელჩი პრესის წარმომადგენელთ არწმუნებს, სოფიაში საბერძნეთისადმი გულწრფელი კეთილ განწყობილების სული ჰფეფობს, ჯარიც კარგს მდგომარეობაშია და საფინანსო მხრითაც კარგათ მოეწყო ჩვენი საქმეო. პრესაში კვლავ გერმანელთა თანაგრძნობის ხმა გაისმის. გაზეთებში ავრცელებენ ხმებს ოსმალთა ვითომც და დიდს გამარჯვების შესახებ. ამითი ჰსურთ დაჰფარონ ავსტრია-ერმანელთა წაგებული საქმეები. ბულგარებს გალაშქრების დროს ათი დივიზიით შეუტევიათ. მათ შორის შეუნიშნავთ გერმანელთა რაზმებიც. ოსმალები მხოლოდ ფორტ რუპელის მხრით მოქმედებენ.

## უკანასკნელი დეპეშები

სასწრაფოდ მეფის ბანაკში გაიწვიეს სამხედრო მინისტრი შუვაევი.

—

მინისტრთა საბჭომ დ ამტკიცა ის კანონი, რომლის ძალით სპეკულიანტები სასტიკად ისჯებიან. ომიანობის დროს სპეკულიანტი 2 წლის ვადით ციხეში დაპატიმრებით ისჯება.

—

ბულგარეთის ჯარის გადასვლა საბერძნეთის მიწა-წყალზე თანდათან ფართო ხასიათს იღებს. ბულგარელები იმ მიდამოებს იჭერენ, სადაც მოკავშირეთა ჯარი არ არის. საბერძნეთის ჯარი უბრძოლველად უკან იხევს. ბულგარელებმა მოკავშირეებზე ერთ ადგილას იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუ აქციეს. ბულგარეთის ჯარში უმეტესი ნაწილი გერმანელია, ავსტრიელი სულ არ არის.

—

მოკავშირეებმა წინადადება მისცეს საბერძნეთის მთავრობას, რათა მან თავისი ჯარი მათ შეუერთოს, მაგრამ საბერძნეთის მთავრობამ უარი განუცხადა.

—

კოპენჰაგენიდან ცნობა მოვიდა, რომ რუმინეთის გარდაწყვეტილება ომში ჩასარევად სამს თვეზედ ადრე სისრულეში ვერ იქმნება მოყვანილიო, ხოლო პეტროგრადის ცნობებით, რუმინეთი რამდენსამე დღეში ომში ჩაერევაო.

—

ლონდონიდან იტყობინებიან: 12 მარიამობისთვეს შუადღისას რამდენიმე „ცეპელინი“ ინგლისის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე გადაფრინდა. რამდენსამე ალაგას ყუმბარები ჩამოჰყარეს. მსხვერპლის და ზარალის შესახებ ცნობა არ არის.

—

ბულგარელთა ჯარის შეჭრა საბერძნეთის მიწა-წყალზე დიდს აღელვებას იწვევს. ზაიმისი მეფეს და სამხედრო მინისტრებს დიდხანს ესაუბრა. საბერძნეთის ჯარს ნაბრძანები აქვს რამდენადაც ბულგარეთის ჯარი მოახლოვდება, იმდენად უკან დაიხიეთო. მხოლოდ სამოქალაქო მოხელეებს ნაბრძანები აქვს თავიანთ ადგილზე დარჩენა.

—

ჟენევის გაზეთების ცნობით ამ ბოლო ბრძოლაში გერმანეთმა და ავსტრიამ ერთი მილიონი მებრძოლი დაჰკარგეს.

—

მაკენზენი ბალკანეთში გადასულა, რათა იქ ბრძოლას ხელმძღვანელობა გაუწიოს.

—

ბულგარეთის ცხენოსანმა ჯარმა კავალა აიღო, ხოლო ქვეითა ჯარმა —რასტორია და კორიცა.

—

ცნობაა, რომ საბერძნეთის ზოგიერთი ჰარნიზონი ეწინააღმდეგება ბულგარეთის ჯარსაო.

—

გალიციაში მოსულ ბულგარელებს და ოსმალებს გერმანელებმა მოწოდებით მიჰმართეს, სადაც ნათქვამია, რომ გერმანეთი თავის მოკავშირეებთან ერთად საერთო მტერს რუსეთს ებრძვის, რომელ რუსეთსაც ჰსურს დაიპყროს ბალკანეთის ხალხი, ხოლო ოსმალეთს წაართვას სატახტო ქალაქი, იმფლობელოს დარდანელზე და ხელთ იგდოს ყველა მაჰმადიანისთვის წმინდათა წმინდა აია-სოფია.

—

სამხედრო მინისტრმა იუსტიციის მინისტრს მაკაროვს მოსთხოვა, რომ სახელმწიფოს ყველა მოღალატენი სიკვდილით ისჯებოდნენ.

—

გამოჩენილი მონარქისტები საჭიროდ სცნობენ, მ. ვოსტორგოვი სიხხლის სამართალში მისცენ, მონარქისტების კავშირში ბოროტმოქმედების ჩადენის გამო. მას უჩივიან 35000 მანეთს.

## ეკლესიის გარშემო

განა საჭიროა მტკიცება იმისა, რომ დღეს ერთ საჭირბოროტო კითხვათაგანს ქართველთა ცხოვრებაში ჩვენი ეკლესიის საკითხი შეადგენს? განა ცოტა დაწერილა იმის შესახებ, რომ სამღვდელოება ამ უცილობელ საკითხს გვერდს უხვევს, უბრალო მაყურებლად გადიქცა და მხოლოდ პირადი ცხოვრებით არის გატაცებული? ყველა ამაზე წერებულა, თქმულა, მხოლოდ პრაქტიკული ნაბიჯის გადასადგმელად არავის უფიქრია, ისე რომ ეკლესიის საკითხი მხოლოდ სალაყბო საგნათ გადაიქცა.

მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ იმედს მაინც არა ვკარგავდით და გვწამდა, რომ პროვინციის სამღვდელოება ხმას ამოიღებდა და მისი გაბედული ხმა მიაღწევდა უმაღლეს მთავრობამდე, გვწამდა ისიც, რომ სოფლის სამღვდელოება ხელს არ მოუწერდა ქალაქელებს მის სულიერ სიკოტრეზე, საერთო დუმილს დაარღვევდა და აკი ესეც მოხდა.

როგორც ვწერდით დ. ცხინვალში სამი საბლაღოჩინოს ყრილობა უნდა მომხდარიყო. 8 მარიამობისთვეს იგი შესდგა. გამოცხადდა მხოლოდ გორის მაზრის ორი საბლაღოჩინო, მესამე და მეცხრე, ხოლო ჯავისა (ოსებისა) არ გამოცხადებულა. ყრილობას თავჯდომარეობდა დეკანოზი ირ. ოქროპირიძე.

ყრილობა პირველ ყოვლისა შეეხო იმ აუტანელ პირობებს, რომელშიაც სოფლის სამღვდელოებას უხდება ცხოვრება. საჭირო იყო ადამიანს ყრილობისათვის თვალი გადაევლო, რომ დარწმუნებულიყო თუ რა სულიერ ტანჯვას განიცდის სოფლელი მღვდელი. ყველანი ერთ ხმად აღიარებდნენ, რომ ესენი ერისაგან და მთავრობისაგანაც მოძულებულნი არიან და საჭიროა საქმის მოგვარება.

შემდეგ ყრილობა შეეხო ქართული საეკლესიო ბეჭედის ბედს. ამ საკითხმაც ერთსულოვნობა შეჰქმნა დამსწრეთა შორის.

ზემოხსენებულ საბლაღოჩინოებს 30 აპრილს, 1916 წ. სინოდალურ კანტორიდან განკარგულება მოუვიდათ, რათა ამ წლის დამლევამდე ქართული საეკლესიო ბეჭედი რუსულად შესცვალონ.

ყრილობაზე ყველანი ერთხმად აღიარებდნენ, რომ საქართველოს ეკლესიას ერთად-ერთი ქართული ბეჭედიღა შერჩენია და მის მოსპობას ნებას არავის მისცემენ.

„ჩვენ არ შეგვიძლია უღალატოთ ერს და ჩვენ მოვალეობასო“—ისმოდა აქეთ-იქიდან ხმა და ამის შესახებ დადგენილებაც მიიღეს. რეზოლიუციაში ნათქვამია: „ასმა წელიწადმა განვლო, რაც საქართველოს ავტოკეფალურმა ეკლესიამ უფლებები დაჰკარგა და მიუხედავად ამისა ქართული ბეჭედი დაუბრკოლებლივ იხმარებოდა. განკარგულებაში, რათა ქართული საეკლესიო ბეჭედი რუსულით იქმნას შეცვლილი, ქართველი სამღვდელოება ერის გამარუსებელ პოლიტიკას ჰხედავს და მოითხოვს რათა ეს უადგილო განკარგულება სწრაფად შეცვლილ იქმნას. ამ გვარი განკარგულება მით უფრო უადგილოა, რომ ქართველი ერი დღეს პირიქით ავტოკეფალურ უფლებების აღდგენის მოლოდინშია“

დაადგინეს აგრეთვე, რომ სასწავლებლებში სამღთო რჯული ქართულ ენაზე ისწავლებოდეს, აღდგენილ იქმნას ისტორიული ნაშთები და სხ.

ყრილობის ბოლოს შეეხნენ იმას, თუ რა არის მიზეზი, რომ ქართველმა ერმა, რომელიც რელიგიის მებაირახტრეთ ითვლებოდა, დღეს ეკლესიას ზურგი შეაქცია? ამის მიზეზად ის აღიარეს, რომ ქართულმა ეკლესიამ დაჰკარგა თავისი ისტორიული უფლებანი და რომ საქმის მოსაგვარებლად საჭიროა აღდგენილ იქმნას იგი. ამის შესახებ ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს: 1916 წ. 9 მარიამობისთვეს, დ. ცხინვალში შევიკრიბეთ გორის მაზრის მესამე და მეცხრე საბლაღოჩინო კრებული და სხვა კითხვათა შორის შევეხეთ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას და დავადგინეთ: მეორე საუკუნე დაიწყო, რაც საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის დამოუკიდებლობა მოესპო ძსოფლიო კრების დაუდასტურებლივ, უწმიდესი სინოდის დადგენილებით. ამ ხნის განმავლობაში სამშობლო ეკლესიამ და მისმა მრევლმა მრავალი ცვალებადობა განიცადა. ქართველი ერის გულგრილობა როგორც რელიგიისადმი, აგრეთვე მსახურთადმი დღითი დღე მატულობს; ამას მოჰყვა ჩვენი ეკლესიის ის უნუგეშო მდგომარეობა, რომელსაც იგი დღეს განიცდის.

როგორც ქართული პრესა და საზოგადოებები, აგრეთვე რუსული სატახტო გაზეთებიც, დღეს ერთხმად აღიარებენ და მოითხოვენ, განხილულ იქმნას საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის საკითხი; ჩვენც, ორმა საბლაღოჩინო ყრილობამ, განვიხილეთ რა უმწეო მდგომარეობა სამშობლო ეკლესიისა, რომელსაც სრული მოსპობა მოელის, თუ იგი აწინდელ მდგომარეობას ვერ ასცდა, დავადგინეთ უმორჩილესად ვთხოვოთ თქვენს ყოვლადუსამღვდელოესობას აღძრათ ივერიის ეკლესიის საკითხი უწმიდესი სინოდის წინაშე, რათა აღდგენილ იქმნას საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის როგორც იურიდიული, აგრეთვე ქონებრივი უფლებანი“.

ამგვარად, ცხინვალის ხეობის სამღვდელოებამ საერთო დუმილი დაარღვია და გაბედული ნაბიჯი გადადგა წინ. ყრილობის დადგენილებანი უკვე ქართველოს ექსარხოზს გაეგზავნა და იმედია უყურადღებოდ არ იქნება დატოვებული მათი სამართლიანი მოთხოვნილებანი. იმედია ეხლა მაინც, როდესაც პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია, ამ ყრილობას სხვა საბლაღოჩინოებიც გამოეხმაურებიან. ან იქნებ ამ ყრილობამ ქალაქის ქართველი სამღვდელოება გამოაღვიძოს და ეპისკოპოზ—არქიმანდრიტ—დეკანოზები აალაპარაკოს? ვნახოთ.

ჩ. კაპანაძე

P. S. 18 მარიამობისთვეს ქ. გორში მთელი მაზრის სამღვდელოების ყრილობაა დანიშნული. საჭიროა აქაც დაყენებულ იქნას საკითხი საქართველოს ეკლესიისა და მით სამღვდელოების მოთხოვნილებას უფრო ღრმა ხასიათი მიეცეს.

ჩ. კ.

## სინოდის გარშემო

„რ. სლოვო“ სანდო პირების ცნობით გადმოგვცემს: უწმ. სინოდის ობერ-პროკურორი ვოლჟინი თანამდებობიდან გადააყენეს და სახელმწიფო საბჭოს წევრად დანიშნესო. გუშინდელ კრებაზე მისი ადგილი ზაიონჩკოვსკის ეჭირა.

**ობერ-პროკურორის ადგილზე ამბობენ, თავ. ჯევახოვი (ქართველ თავადიშვილთა ჩამომავალია) ინიშნებაო.**

—

როგორც ხმა დადის, ამ მოკლე ხანში კიევის მიტროპოლიტს ვლადიმირს დაითხოვენ. მის მოადგილედ ასახელებენ პეტროგრადის მიტროპოლიტს პიტირიმს.

## სათათბიროს გარშემო

მთავრობის წრეებში თათბირია სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების გადასადებად. უმრავლესობა ამბობს: **არჩევნები ომის გათავებამდე გადაიდოხო**, ხოლო უმცირესობა მოითხოვს დრო დანამდვილებით იქმნეს აღნიშნული, უმცირესობის მიხედულებამ გაიმარჯვა. წინადადებაა არჩევნები თვრამეტის თვით გადაიდოს და თუ საჭიროდ შეიქმნა ვადა კვლავ გაგრძელდეს.

## ახალი ამბავი

✦ **მეფის ნაცვალმა** დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ 12 მარიამობისთვეს ნაშუადღევს ინახულა საქართველოს ექსარხოსი პლატონი. მათ მეუფესთან მეფის ნაცვალმა 20 წუთს დაჰყო და იმავე დღეს კოჯორში უკანვე დაბრუნდა.

✦ **სამკურნალო ფაკულტეტი.** მეფის ნაცვალმა დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ნება დართო თანახმად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოხსენებისა, ქალთა უმაღლეს კურსებთან 1 ღვინობისთვიდან სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებისა.

✦ **სიონობა.** ხვალ, 15 მარიამობისთვეს, სიონის საკათედრო ტაძრის დღესასწაულის დღეს სიონში მწირველია საქართველოს ექსარხოსი პლატონი.

✦ **ანჩისხატობა.** სამშაბათს 16 მარიამობისთვეს, ანჩისხატის დღესასწაულის დღეს, ანჩისხატში მწირველია გორის ეპისკოპოსი ანტონი, ხოლო წინადღით 15 მარიამობისთვეს მწუხრსა და ცისკარს ზეთის ცხებით შეასრულებს წინამძღვარი დავით გარეჯის მონასტრისა არქიმანდრიტი დოსითეოსი კრებულის თანამღვდელობით.

✦ **ცხენების საჯარო ვაჭრობა.** 15 მარიამობისთვეს დესიმონოვის მოედანზე დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ცხენებისა.

✦ **გარდაიცვალა** ქ. სევასტოპოლში კავკასიის გზებისა და მიმოსვლის ოლქის უფროსი ინჟ. გენ. ლეიტ. ი. ა. პორომშინი.

✦ **თბილისში ჩამოვიდა** გუშინ რუსეთის ქალაქთა კავშირის მთავარრწმუნებულის ამხანაგი მ. ნ. კიშკინი.

✦ **სკოლა ს. მოიდანახეში.** ქუთაისის გუბ. სახალხო სკოლების დირექტორმა აცნობა ქართველთა შორის წ. კ. გ. ს. გამგეობას რომ მან ნებადართო საზოგადოებას მიმდინარე წლის 1 ენკენისთვიდან ზუგდიდის მაზრის ს. მოიდანახეში დაბალ კერძო სასწავლებლის დაარსებისა 1914 წ. 1 მკათათვის კანონის უფლებიანი, რომლის ძალით ყველა საგნები გარდა რუსულ ენისა ისტორიისა და გეოგრაფიისა ქართულად უნდა სწავლობდეს.

✦ **ხოლერა.** 13 მარიამობისთვეს დილის 8 საათზე № 40 საავადმყოფოში ხოლერიანი ავადმყოფი იყო 35, საეჭვო 3.

✦ **ქალაქის თავის მოადგილე ალ.** მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი კავკავს გაემგზავრა ქალაქთა კავშირის მთავარ-რწმუნებულის ბ-ნ კიშკინის შესახვედრათ.

✦ წელს ხარკოვის უმაღლეს სასწავლებელში საისტორიო ნაწილი ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტისა დაამთავრა ერთად-ერთმა სიმონ ნათიძემ.

✦ **გვირგვინის ფული.** თბ. ქალაქის მოურავის მოადგილემ გამოუგზავნა წერა-კითხვის საზ. გამგეობას 100 მანეთი შეწირული კავკავის ქალაქის თვითმართველობის სახელით გვირგვინის ფულად განსვენებულ ეკ. ივ. სარაჯიშვილის კუბოს შესამკობად.

**თბ. სავაჭრო სასწავლებელში** გამოცდა ყველა საგნებში 25, 26 და 27 მარიამობისთვესაა დანიშნული. მისაღები გამოცდა 31 მარიამობისთვეს 1 და 2 ენკენისთვეს. ხოლო სწავლა დაიწყება 3 ენკენისთვეს. სკოლასთან საანბანო კლასია მოწყობილი. ფასი სწავლისა 30 მანეთი ნახევარ წლისა.

✦ **ამხ. „ქართლში“** ორშაბათს 15 მარიამობისთვეს ქ. გორში დანიშნულია მეხილეთა ამხ. „ქართლის“ წევრთა საზოგადო კრების გაგრძელება.

✦ **მომხმარებელ საზოგადოება „ალორძინების“** გამგეობის უკანასკნელ კრებაზე გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილებანი: 1) „ამიერ-კავკასიის“ მომხმარებელთა კავშირს გადაეცეს სია სხვა და სხვა საქონლისა, ღირებული 50,000 მან. ბაქოს ბაზარზე სასყიდლათ. 2) ტრაღიკულად გარდაცვალებულ „კავშირის“ ინსტრუქტორ გ. ლომთათიძის ხსოვნის აღსახიშნავად დაარსებულ ფონდის გასადიდებლად, რითაც უნდა გაგზავნილ იქმნეს სადმე ინსტრუქტორობის შესასწავლად ვინმე მსურველი, გადადებულ იქმნას ასი მანათი. 3) მიეცეს წინადადება სარევიზიო კომისიას რაც შეიძლება მალე შეუდგეს ანგარიშის რევიზიას, რათა გამგეობას შეეძლოს ამ მოკლე ხანში არა-ჩვეულებრივი საზოგადო კრების მოწვევა.

მკათათვის ვაჭრობა გამოიხატება შემდეგ ციფრებში: უმთავრეს მაღაზიამ ივაჭრა 23,294 მ. 75 კ. (დღეში საშუალოთ 970 მ. 61 კ.), ვერის განყოფილებამ 4,465 მ. 21 კ. (დღეში 186 მ. 05 კ. და ავლაბრის განყოფილებამ 3,711 მ. 9 კ. (დღეში 154 მ. 63 კ. ყველა მაღაზიებს უვაჭრიათ 31,471 მ. 5 კ.

✦ 10 ამ თვეს გარდაიცვალა სალომე ბეჟანის ასული გურგენიძისა, რომელმაც მთელი თავისი ქონება უანდერძა თბილისის ქართულ გიმნაზიას. გიმნაზიის გამგე კომიტეტმა ამის გამო იქონია მსჯელობა და დაადგინა: 1) მოახდინოს ათასი მანეთის ხარჯი თანახმად ანდერძისა განსვენებულის დასაფლავებაზე, 2) გადახდილ იქმნას პანაშვიდი ქართულ ეკლესიის გიმნაზიაში და 3) დაესწროს დასაფლავებას გამგე კომიტეტი მთელის შემადგენლობით, გიმნაზიის გამგე, მასწავლებლები და მოწაფეები.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ორი რვეული ხელთნაწერი ახლად გარდაცვალებულის კიკნა-ფშაველისა.

✦ რედაქციამ მიიღო ს. რემონიძეს მოთხრობების კრებული, წიგნი პირველი, გამოცემა კანტორა „განათლებისა“ ფასი 70 კაპ.

✦ **სახალხო განათლების მინისტრმა** ცირკულიარები დაუგზავნა ოლქის მზრუნველთ, სადაც ატყობინებს, რომ მოწაფეებს შინაურ ტანისამოსში შეუძლიანთ სკოლაში იარონო.

**ს. ველისციხე.**

აქაური სამინისტრო პირველ დაწყებითი სკოლის დამსახურებული, სამშობლოს სიყვარულით გატაცებული, სახალხო საქმისთვის თავდადებული მასწავლებელი ალ. ა—ძე ზახაშვილი გადაიყვანეს.

საზოგადოება მეტად გულნატკენია მისის გადაყვანით.

**ს. ხიდისთავი.**

— ადგილობრივი ოთხ კლასიანი სასწავლებლის შენობის აგება უკვე გაიცა იჯარით 2700 მანეთად.

— აქ ამ მოკლე ხანში გაიხსნება ფოსტის განყოფილება, რომლისათვისაც შენობის დამზადება მალე დამთავრდება.

— ადგილობრივი ნიხრის ძალით, სპეკულიაციის თავიდან ასაცდენად, ვაჭრებს შაქრის ყიდვა აეკრძალათ და შაქარს მხოლოდ კოოპერატივში გვყიდიან. დღეის შემდეგ სიმინდიც მხოლოდ კოოპერატივში იყიდება.

**სიღნაღი.**

ამ რამოდენიმე დღის წინეთ, სიღნაღის სომხის ვაჭრებს ქალაქის თავის მეთაურობით თბილისიდან ჩამოსულ ბანკის წარმომადგენელთან ერთად თათბირი ჰქონდა სიღნაღში სომხების საურთიერთო ბანკის დაარსების შესახებ. ძირითადი თანხა როგორც ირწმუნებიან განძრახულია $4^1/_2$ მილიონი. ბანკმა უნდა ყოველივე ღონე იხმაროს, რომ ყოველგვარი მოსავალი ამ მაზრაში—თამბაქო, ღვინო, მატყლი თუ სხვა ხელში ჩაიგდოს და აგრეთვე დაიჭიროს სესხით მწარმოებელნი. ამ ამბავმა დიდად დააფიქრა ადგილობრივი ქართული ინტელიგენცია და ახლავე ლამობენ ზომები მიიღონ ამ ხიფათის თავიდან ასაცდენად.

# ყურმოტეხილი კერპები

ასსირელთ ერთხელ უბედურობის დღე გაუთენდათ: სალოცავად შესვლის დროს შეჰნიშნეს, რომ მათ უმთავრეს ღმერთის ქანდაკს—აშურს ყური მოსტეხოდა. დამხობილნი ევედრებოდნენ აშურს ცოდვათა პატიებას, ნუ მოიღებ ჩვენზე რისხვას, წყალობის თვალით გადმოგვხედე, ყური ისევ გამოიბიო, მაგრამ აშური სდუმდა დუმილითა ქანდაკისათა და მლოცველთ თხოვნას არ ასრულებდა.

მლოცველთა შორის იყო ერთი დედაბერიც. ქვეყნის უბედურების ასაცდენათ თვისი თავი გასწირა, დაემხო ქანდაკის წინ, მსხვერპლი შესწირა, შემდეგ მოტეხილ ყურს დაავლო ხელი, ქანდაკს თავის ადგილას გაუკეთა. თვითვე განცვიფრებაში მოვიდა ამ ოპერაციით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაინახა, რომ აშური ეხლაც უძრავად იდგა და ქალის კადნიერებაზეც ისევე ხმას არ იღებდა, როგორც განთიადისას მლოცველთა თვალცრემლიანი ღაღადის დროს. მაშინ კი ველარ მოითმინა, მლოცველთაკენ იბრუნა პირი და ღიმილით შეჰხიშნა:

— შეხედეთ, აშურ არ ჯავრდება... თურმე ნუ იტყვით, ყრუ ყოფილაო...

როდესაც თვალს გადაავლებთ დღევანდელს ჩვენს ცხოვრებას, უნებურად ეს ამბავი გაგახსენდებათ: დაინახავთ, რომ ჩვენი ხალხი ხსნას მოელის აშურებისგან, ეს იმ აშურებისაგან, რომელთაც ოდესღაც, მართლა, დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ჩვენის ისტორიის დროშის ფრიალში. მაშინ სიცხოველე ამ ღმერთთა ქანდაკებისა ყოველგან შესაწყნარებელი იყო და აკი კიდეც იწყნარებდნენ! მეფე, მთავარნი და მღვდელ-მთავარნი,—აი ვისი იმედებით ჰსუნთქავდა ძველი საქართველო, აი ვის უკმევდა გუნდრუკს, ვინ მიაჩნდათ ცხოვრების საჭედ!

დიდი ღმერთი აშურ რუსეთთან საქართველოს შეერთებით თავის თავად მოკვდა თუ არა იძულებით! საქართველოს სანუგეშებლად მეორე ხარისხოვან აშურთა ქანდაკებანი დარჩა. იმედოვნებდა მღვდელ მსახურთა და ბრწყინვალე თავადთა მხნეობას და გამჭრიახობას. მაგრამ ლოცვანი ახალი საქართველოსი ამ კერპთა წინაშე ველარ აღწევდნენ და ვერც თუ დღემდე ვინმე ჰნიშნავდა, რომ დიდი აშურის გარდაცვალების შემდეგ ამ კერპებსაც ყურები დამტვრევიათ, ჩვენ ქვეყნისთვის დაყრუვებულან.

რაა თუ არა ყურმოტეხილი კერპობა, როდესაც საქართველოს დაქვრივების შემდეგ ამ დედინაცვალთაგან არ გვსმენია არც ერთი გაბედული გამოქომაგება, არც ერთი სანუგეშო სიტყვა! სამთავრონი დაიღუპნენ, მათი სამლოცველოების მსხვერპლი გახდა და რა მივიღეთ სამაგიეროდ? არაფერი! ასი წელიწადი წარხდა, ასი წელიწადი მიდის ამ ახალი ცხოვრების ქვეშ, საქართველომ ბევრი ჭირი ნახა, ბევრი ვაება განიცადა, მაგრამ რომელი აშური აღდგა და გაბედულად მოითხოვა პირობების შეცვლა? რომელი მღვდელ-მთავარი გამოჰქომაგებია თვის სამწყოს, ან დაქვრივებულს ეკლესიას? „Гряди и володѣй!“ აი ის დიდი ფორმულა, რაც ისწავლეს ამ ხნის განმავლობაში, აი რას ვერ გაჰშორებიან დღემდე ის აშურები, რომელთა წინაშე დღესაც ქართველი ცრი ლოცულობს!

# ეკ. სარაჯიშვილთან

(1913 წ.)

**ქართველი ქალი**

როს გავიხსენებ ივერიის დიდებულ წარსულს,
ნეტარ დროს სჭვრეტავს ფრთა-შესხმული ოცნება მალი;
და მითქვამს ნაღვლით აღსავსესა, გულ-დამწუხრებულს:
რატომ იმ ხანად იყო მხოლოდ ქართველი ქალი—
ქალი მხნე მარად, ესდენ მტკიცე ოჯახის კერა,
სულის სიწმინდით, სისპეტაკით ბნელის მქრობელი,
ერის საუნჯე, მოყვარული თვისივ ერისა,
ვაჟკაცთან ერთად მტრის წინაშე ხმლისა მპყრობელი...
ქალი მდიდარი სათნოებით და სიყვარულით,
რომელს სახეზე არ ეფარა ბადე თნევისა,
თვით სთაოსნობდა დიად საქმეს საშვილიშვილოს,
თვითვე ხელთ ეპყრა გამარჯვებულს დროშა ძლევისა.
და, აჰა, განქრა სანეტარო იგი წარსული,
დროთა ბრუნვაში დაუნგრიეს ქართლსა ტაძარი
და ვით მქონოდა მოლოდინი კვლავ შემხვდებოდა
ამ დუხჭირ დროში კვლავ მხნე დედა, სულით ნარნარი?
მაგრამ აღსრულდა! იგი ვნახე თვისის დიდებით,
ვნახე მამულის სიამაყე ქართველი ქალი;
კვალად აღმენთო მე იმედი გულ-გასახარი,
თვალს დაეხატა სხვა მყობადი, სხვა მომავალი.
და ვსთქვი: კავშირი ძველ წარსულთან არ გაწყვეტილა,
სხვა ჟამი გველის, გადაივლის აწმყო საზარი,
კვლავ განახლებით აღსდგებიან ქართველ დედებში
ნინო, ქეთევან და სულმნათი დიდი თამარი!

**სანდრო შანშიაშვილი.**

**ბერლინი**

ერი უპატივისმცემელო თავისი თავის და უპატრონო, უპატივისმცემელია სხვათა მიერ. ჩვენ ეს არ გვსურს. თუ ჩვენს მაღალ სამღვდელოებას და თავად-აზნაურობას არა ჰსურს სავსებით დაჰკარგოს ახალგაზდა საქართველოს ნდობა და პატივი, თუ ჰსურს კვლავ ჩვენი ისტორიის დამამშვენებელ კერპებად ითვლებოდნენ, მაშინ სწრაფი ანკეტა მოახდინონ დასარწმუნებლად მაინც, რას ჰფიქრობს სოფელი, რას ჰფიქრობს თვითეული საბლაოჩინო, რას ჰფიქრობს ხალხი, რას ჰფიქრობს ინტელიგენცია და აუწყონ უწმიდეს სინოდს, რომ ვოლჟინის გამოსირჩება არ ნიშნავდა საქართველოს ეკლესიის საკითხის ადგილობრივ შესწავლას, რომ ქართველობას ჰსურს დაკარგული უფლებანი აღუდგინოს თავის ეკლესიას, რომ საკითხი დაქვრივებულ ეკლესიისა, დიახაც, რომ დროულია და თუ უდროული, უდროულია მხოლოდ სინოდისთვის და მმართველი წრეებისთვის! თუ ამას ასე არ იზამენ, მაშინ ინტელიგენტ ძალებს იმის მეტი აღარა დაგვრჩენია რა, რომ იატაკიდან ავიღოთ მათი მოტეხილი ყურები და ვაუწყოთ მთელს ქართველ ერს: ჩვენი კერპები დაიხოცნენ... სულ მთლად დაყრუვდნენ!..

**დ. კასრაძე.**

# სომხები არიან?

წერილი გაზ. „საქართველოს“ რედაქციის მიმართ.

ქართველ გრიგორიანების შესახებ გაზეთი „ბაქუ“ ეკამათება ქართულ გაზეთებს. როდესაც საბუთი აკლიათ, სომხის გაზეთები ცდილობენ ფონს გავიდენ დემაგოგიურის სიტყვებით.

გაზ. „ბაქუს“ სომხის თანამშრომელი, ქართველებს შოვინისტებს გვიწოდებს; კარგა ხანია რაც მათ ამ სახელით ქართველი მონათლეს.

ვნახოთ ახლა ისტორიულის ცნობებით, თუ კაცი-ჭამიები ვინ გამოვან, იგინი თუ ჩვენა. ჩვენ ვემორჩილებით ისტორიულ ცნობებს და ქართველი გრიგორიანების შესახებ იმას ვწერთ, რაც ფაქტებით არის შემოწმებული. გაზ. „ჰორიზონი“, „მშაკი“, „ბაქუ“ და სხვა ასეთნი კი ამ გაზეთებს ეწინააღმდეგებიან ცარიელის სიტყვებით, ცარიელის მუქარებით და უარს ჰყოფენ ჩვენს ისტორიულ ცნობებს და მასთან მუქარით შოვინისტების წოდების სახელსაც გვიმტკიცებენ.

ასეთ ხალხისთვის პასუხის მიცემა არა ღირს, ჩვენ აქ ისტორიულ ცნობებს მოვიყვანთ და ვთხოვთ სომხის მწერლებს გვიჩვენონ საბუთებით ხელში თუ ეს პირნი ვინ უნდა იყვნენ, თუ არ ქართველი გრიგორიანები, სხვა რამ კითხვებთან ჩვენ საქმე არა გვაქვს, ამათ შესახებ კი მარტოთ ეს ცნობებიც კმარა. ეხლა პატივცემულო ბატონებო, მიჰხედეთ ამ ცნობებს და გვიბრძანეთ თქვენ, მაშ ესენი ვინ უნდა იყვნენ თუ არ ქართველი გრიგორიანები.

**ოქროპირიძე.** სომეხი, ერთი კომლი, სცხოვრობს გორს, ამათ წინაპარნი სცხოვრობდენ გორის მაზრაში, სოფ. დირევში 60 კომლი, მართლმადიდებელნი, აქედამ არის ეს ერთი კომლი გასული და გასომხებული.

**გვარიშვილი,** დღეს გრიგორიანცი. სიტყვა გვარი ქართულია და ეს გვარიშვილები სომხებს მე-18 საუკ. დაუკავშირდენ.

**ლოლაძე,** დღეს ლოლიანცი. სცხოვრობენ ვერაზედ, ამათი გასომხება ეკუთვნის 1795 წ. თბილისში 15 კომლი ქართველია ლოლაძე და სამი კომლი კი ამათგან გასულები, გასომხებულნი. ამის ცნობა მოიყვანა პატივცემულმა ივ. გომართელმაც თავის წერილში. ლოლაძე გასომხებულნი თბილისს გარდა სოფლებშიც მრავლად ყოფილან.

**მაისაშვილი.** რაჭაში მთელი სოფელი სცხოვრობს ამ გვარის წევრთა. ერთი ოჯახი ამათგანი თბილისში გადმოსახლებულა XVIII საუკ. ნახევარს, თბილისში ესენი გრიგორიანებს დაკავშირებიან. დღეს ესენი ვერაზედ სცხოვრობენ და რძითა და მაწვნით ვაჭრობენ.

**ავალოვი.** ამ გვარის წევრნი ზოგნი თავადიშვილებიც არიან, ზოგნი აზნაურნი, ამათგანნი მე-17 საუკ. სამცხესაათაბაგოს ზოგი მუსულმანებს დაუკავშირდა. დღეს ავალოვები ბეგებიც არიან, ზოგი კათოლიკებს დაუკავშირდენ იმავ დროს და ზოგნი გრიგორიანებს, დღეს გრიგორიანები ავალიანცად იწოდებიან.

**მაღალაშვილი.** ამ გვარის წევრნი ზოგნი თავადნი არიან, ზოგნი აზნაურნი, ზოგნი მოქალაქენი და სოფლის გლეხნიც, ორი კომლი მოქალაქეების კუკიაში გრიგორიანებს დაუკავშირდნენ მე-18 საუკუნეში. დღეს ესენი მაღალიანცად იწოდებიან.

**დიდ-ზურაბიშვილი.** აზნაურიშვილები, ზოგნი გლეხი და ზოგნი მოქალაქენი. ერთი ოჯახი ამათგანი მე-18 საუკ. ნახევარს დაუკავშირდა გრიგორიანებს, დღეს ესენი თბილისში სცხოვრობენ და სომხათ იწოდებენ თავს.

**ასაძე.** ამათივე გვარი არის ხუციშვილი ასაძე. ამის შესახებ ასევე სწერს თვით ამ გვარის წევრი ტერ ანტონ ხუციანცი, მე-18 საუკ. ეს გვარი სომხებმა გადასთარგმნეს და ტერტეროვი უწოდეს, ქართველთ შთამომავალი ტერტეროვები დღეს თბილისში სცხოვრობენ და სომხობენ, ისიც ითქმის, რომ ტერტეროვები სხვა შტოსიც არიან, ნამდვილ სომხების შთამომავალნი.

**გორგაძე.** ამ გვარის წევრნი მრავლად სცხოვრობენ ქართლს, კახეთს და ნამეტურ იმერეთს. ერთი ოჯახი ამათგან თბილისში გრიგორიანებს დაუკავშირდნენ კუკიაში მე-18 საუკ. ნახევარს, დღეს ამათი შთამომავალია ბუკინისტი გორგაძიანცი.

**ალიხანაშვილები.** დღეს ალიხანოვები, ალიხანაშვილების რაჭაში მთელი სოფელი სცხოვრობს, ორი კომლი ამათგანი რაჭიდან თბილისში გადმოსახლდნენ და დასახლდნენ მე-18 საუკ. ნახევარს, მერე ესენი დაუკავშირდნენ გრიგორიანებს, დღეს ესენი სომხობენ.

**ფრიდონოვი.** მდიდარი ბანკირი თბილისში, ამათი ძველი გვარი თავადი გელოვანი ყოფილა. არის მეორე გარდმოცემაც, ამათი წინაპარნი თუშნი, თუ ფშავნი ყოფილან, თბილისში ერბო, კარაქი, შემოჰქონდათ გასასყიდათ. ერთი კომლი ასეთების დაუახლოვდა თბილისის მცხოვრებ სომეხ ბაყალ ვაჭრებს, მერე ამ ბაყალ ვაჭრების ერთი ბაყალი ნათლიად გახდა ამ თუშ-ფშავ-ხევსურთა ოჯახის, ნათლიას თხოვნით, ყმაწვილი მშობლებმა სომხის ეკლესიაში მონათლეს, მერე სომეხთაგან ამ ბავშვს გვარად ფრიდონოვი ეწოდა, ვინაითგან ბავშვის მამას სახელად ფრიდონი რქმევია.

**მანთაშოვი**—მენთეშაშვილები, კახეთს, ზემო და ქვემო მაჩხაანს სცხოვრობს 60 კომლი მეტი. 1740 წ. ამ მენთეშაშვილების ოთხი კომლი კახეთიდან თბილისში გადასახლდნენ. ამათგან ორი ოჯახი ვაჭრობას მიეცა. 2 კომლი კი ბორჩალოს მაზრის სოფ. რატევანში გადასახლდა, თბილისში და რატევანშიც ეს ქართველი **მენთეშაშვილები** გრიგორიანობას დაუკავშირდნენ. დღეს ესენი სომხებად ირიცხებიან.

**მირზაშვილები** სცხოვრობენ ქართლში, მთელი სოფელი, ამათში ზოგი აზნაურშვილია, ზოგი გლეხი. ამათგან ორი ოჯახი გადმოსახლდნენ თბილისში და ალებ-მიცემობა დაიწყეს მე-18 საუკ. ნახევარს, იმავ დროს ესენი დაუკავშირდნენ გრიგორიანობას.

**საფარაშვილები** მაჰახელში ორი სოფელია, სადაც სულ ქართველი მაჰმადიანი საფაროვები სცხოვრებენ. 1640 წლებში, ისლამთან დაკავშირების დროს, ამ სოფლებიდამ რამდენიმე კომლი გაქცეულ იქმნენ სჯულის გამო, ზოგი მათგანი კათოლიკობას დაუკავშირდა და ზოგიც გრიგორიანობას, დღეს თბილისში სცხოვრობენ ამათი შთამომავალნი და სომხებად იწოდებიან.

**ზაქარიაშვილები.** მაჰახელში მთელი სოფელი სცხოვრობს ამ გვარის წევრთა, ზოგნი მათში ბეგებიც არიან. ისლამთან დაკავშირების დროს ამათგან რამდენიმე კომლი გაქცეულ იქმნენ მაჰახლიდან, ესენი სხვაგან ... ამათგანი ზოგი კათოლიკობას დაუკავშირდა, ზოგი გრიგორიანობას. ამათი შთამომავალნი დღეს სომხებად იწოდებიან.

**მაჩაბელი,** დღეს მაჩაბელოვი, გრიგორიანობას დაუკავშირდა მე-18 საუკ. დღეს სომხად ირიცხებიან.

**ბარათაშვილი,** დღეს ბარათოვი-ბარათიანი, სცხოვრობენ დუშეთს და ირიცხებიან სომხად.

**წერეთელი.** დღეს წერეთელოვი, სცხოვრობს თბილისში, ერთი კომლი, ესენი გრიგორიანობას დაუკავშირდნენ მე-18 საუკ. ბოლოს. ეს ოჯახი აკაკიმაც გაიცნა, რისთვისაც გაკვირვებული გახდა პოეტი, როცა მან შეიტყო, რომ წერეთელი სომეხიაო.

**ფავლენიშვილი,** დღეს ფავლენიანცი, სცხოვრობენ გორს. ფავლენიშვილები ზოგნი თავადნიც არიან, ზოგნი აზნაურნი, ერთი ამათგანი მე-18 საუკ. დაუკავშირდა გრიგორიანობას, დღეს ესენი გორში სცხოვრობენ, თავი სომხად მიაჩნიათ და იწოდებიან გვარად ფავლენიანცად. ისტორიული თქმულება არის, რომ ქართლის მცხოვრებ თავ. ფავლენიშვილის გვარი სწარმოებს მეთორმეტე საუკ. მხარგრძელ არღუთაშვილის გვარიდამო.

**ქანიშვილი.** დღეს ქანიანცი. ქანიშვილი, მოდგმითაც ქანები, ლაზები არიან. ისლამთან დაკავშირების დროს, ესენი დაუკავშირდენ კათოლიკობას, მერე გასომხდენ გვარათ, დღეს ქანიშვილი თბილისში.

**ლაზიანი.** თვით სიტყვა გვამცნევს თუ ლაზი რა არის, ისლამთან დაკავშირების დროს, რამდენიმე კომლი ლაზების დაუკავშირდნენ კათოლიკებს და გრიგორიანებს, დღეს ასეთების შთამომავალნი თბილისში სომხები არიან, ამ გვარის თვით არზრუმელ მეურნეებშიც კი სცხოვრებენ.

**ბასილაშვილი.** ნაოს ძენი, სცხოვრებენ მრავლად ცხინვალისკენ, ამათგან ორი კომლი თბილისში იქმნა გადასახლებული მეთვრამეტე საუკ. ნახევარს, იმავ დროს, ეს ოჯახი გრიგორიანთ ეკლესიას დაუკავშირდენ, დღეს ესენი იწოდებიან ბასილაშვილის მაგიერ ბასინიანცად.

**გარსევანაშვილები.** ამ გვარის წევრთა მთელი სოფელია ქართლში, რაჭაშიც მრავლათ სცხოვრებენ. მეთვრამეტე საუკ. ორი კომლი თბილისში გაჩნდენ, აქ გასომხდენ იგინი, დღეს გარსევანოვებად იწოდებიან. ქართლში გარსევანოვები აზნაურადაც სცხოვრობენ.

**არეშიძე.** სცხოვრობენ მრავლად ბორჩალოს მაზრაში, ზოგნი ამათგან გრიგორიანობას დაუკავშირდენ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს. დღეს თბილისში იწოდებიან არეშოვათ, არეშიანათაც.

**ფანიაშვილები,** ქართლის აზნაურისშვილები. ერთი ამ გვარის წევრთაგანი სპარსეთში მოხვდა ტყვედ. იქ, რადგანაც მაშინ ქართული ეკლესია არ იყო, ამიტომ ფანიაშვილი სომხის სჯულს დაუკავშირდა, შემდეგ დროებში, ამ სომხის შთამომავალთაგანის ერთი პირი საქართველოში მოვიდა და თავის სახლიკაცს ქართველ ფანიაშვილებს დაენათესავა. დღეს ამ ფანიაშვილის შთამომავალი ფანიანცია და სომხად ირიცხება.

ასეთი გარემოების ასახსნელად ამ გვარების მოყვანაც კმარა. ჩვენს დროში გვარი-ჭამიობა აღარ გამოდგება. ამაზედ მეტ გვარების ცნობებს აქ არ მოვიყვანთ, თუ საჭირო იქნება, მაშინ ჩვენ ათასობით დავასახელებთ ასეთ ცნობებს, ვინაიდგან ასეთ ცნობათა რიცხვი საქართველოში ერთობ დიდია, გასომხებული ქართველნი საქართველოში სცხოვრობენ 350 სოფელში. ეს საქმე მცირე არ არის, ესენი მხოლოდ ქართველები არიან, ქართველის ტიპსანი.

როდესაც სიმართლეს იტყვი და ხმას ამოიღებ იმის სასარგებლოდ, რომ ეს გასომხებული ქართველები ქართულ ეროვნულ შენებას უნდა დავუბრუნოთ, სომხის მწერლები ყვირილს მორთვენ, ქართველები შოვინისტები და კაციჭამიები არიანო. აქამდის სამწუხაროდ ქართველი სოციალისტები და სოციალისტური მიმართულებები სომხეთა შოვინისტებს დაბრიყვებული ჰყავდათ და ყველაფერს დაგითმობდენ, ოღონდ მათთვის შოვინისტი არავის დაეძახა. სიტყვისა ეშინოდათ და სიმართლის დაცვას ვეღარ ბედავდენ. საბედნიეროდ ეხლა სოციალისტების ბანაკშიც თანდათან ისპობა ასეთი ფსიხიკა. ხოლო აშკარაა ეროვნული პარტია სომხების ამ ლითაიებს ყურადღებას არ აქცევს და მედგრად იცავს თავის ეროვნულ ინტერესს და იმ გასომხებული ქართველების გამოსაბრუნებლად ყოველ ღონეს იღონებს.

**ზ. ჭ.**

# ჯავახეთის ამბავი

**ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება.**

განვლილ წელს გიორგობისთვეში განსვენებულმა ალექსანდრე ყიფშიძემ, დიდებულ მესხეთის მოამაგდარემ, მთავარ გამგეობის მინდობილობით გახსნა აქ ჯავახეთში განყოფილება საქველმოქმედო საზოგადოებისა, რომელმაც დაიწყო მოქმედება 15 დეკემბრიდან.

განყოფილებას ჯერ-ჯერობით 53 წევრი ჰყავს ყველა რჯულის ქართველნი. გამგეობას მინდობილი ჰქონდა გადმოხვეწილთა მდგომარეობაზე ზრუნვა, რისთვისაც სახსრად მიიღო მთავარ გამგეობისაგან 2000 მანეთი მათი უმაღლესობის ტატიანეს კომიტეტისაგან გამოგზავნილი. განყოფილება ზრუნავს ყველა რჯულის გადმოხვეწილ ქართველებისთვის, რომელთაც არტაანის ინციდენტი დაატყდათ თავზე.

მთელ ზამთარს ინახავდა 22 ოჯახს, 133 სულს. ამათში 9 ოჯახი ქართველი მაჰმადიანია, დანარჩენი ქართველი ქრისტიანები.

განყოფილების შუამდგომლობის თანახმად მთავარმა გამგეობამ მოაშველა აგრეთვე ფული თესლის სასყიდლათ 1008 მან., რომლითაც შვიდს ოჯახს აღმოუჩინა დახმარება და თავის დროზე მოასწრეს დათესვა ქერისა და პურისა.

საუკუნოები საუკუნოებს მისდევდა, თაობა თაობას სცვლიდა, თამარ მეფის ოქროს ხანას ისტორიული ჩარხი უკუღმა დატრიალდა და ამ ზემო ქართლის ძლიერი ბიზანტიური კულტურა ბარბაროსობამ დასცა—მონგოლნი, სპარსნი და თურქი ოსმალები გაჯიბრდნენ და მთელი 500 წელიწადი ანგრიეს აქაურობა. ცათ ატყორცნილი დიდებულ ტაძართა გუმბათნი დაირღვა და წმინდათა-წმინდა საკურთხეველზე დაინთხა უმანკო სისხლი მაკურთხეველთა; ჯავახელ ქართველთა სულმა ტიტანური ტანჯვა და ცოჯოხეთი გამოიარა, თავდადებულ გმირთა ფოლადი გული ხუთი საუკუნის ბრძოლამ გასტეხა, ხალხი შემცირდა, დაიქსაქსა, დაკნინდა, ქართულ საქმიანობის სული წაწმყდა, ასპარეზი მოისპო და მიწასთან გასწორდა.

განყოფილების გამგეობის წევრთ რეგისტრაცია მოახდინეს ჯავახეთის მეზობელ ჰქვეყანაშიაც **ჩილდირში** არტაანის საერისთაოში, იმ ჩილდირში, სადაც მას ჟამსა შინა **წყაროსთავის** მონასტერი, მისი დიდებული ლავრა საფუტკრესავით გუგუნებდა და სწავლა-მეცნიერების ლუმელი ცხოველს სხივებს აფრქვევდა, მთელს საქართველოს ათბობდა, სწორედ აქ მე მეათე საუკუნ. პირველი სახარება ითარგმნა, რომელიც დღეს გელათის მონასტერშია დაცული. დიახ, ამ **საეპისკოპოსოში** დღეს მეოცე საუკუნეში ქართველთა სოფლები ათიოდე-ღა დარჩენილა, რომელთაც ორი საუკუნე მეტია, რაც მაჰმადიანობა მიუღიათ. ხოლო ამათშიაც ქართულად მოლაპარაკეს ძრიელ იშვიათად-ღა შეხვდებით.

აი ქართული სოფლები: 1. **ზურზუნი**—12 კომლი, 2. **რაბათი**—38 კომლი, **ჩაისი**—35 კომლი, 4. **წყაროსთავი** 35 კომლი.

ეს სოფლები მტკვრის მარჯვნივ ასახლიან, ფოსტის გზის ახლოს, და ამიტომაც დაატყდათ თავს ომის გრიგალი.

ხოლო მტკვრის გაღმა (მარცხენა ნაპირზე) გაფანტულია შემდეგი სოფლები:

5. **ქართანაქები**—40 კომ, 6. **ზარაბუქი**—40 კომ., 7. **ოხუშეთი**—12 კომლი, 8. **ყურთყალა** (მგლის ციხე) 30 კომლი, 9. **ვაშლობი**—15 კომლი, 10. **თათალეთი**—30 კომლი.

ამ სოფლებში მთლად ქართველი მაჰმადიანობა სცხოვრობს (ძველი მკვიდრი) დედა-ენა აღარ შერჩენიათ, სტამბოლისკენ და მექქისკენ იცქირებიან. აი რა მიამბო რაბათელმა გლეხმა **ჰაჯი ახტან დ და ოღლი ხახალაშვილმა!** „ჩვენ ახალქალაქიდან, ჯავახეთიდან *) ვართ გადმოსახლებულნი პასკევიჩის დროს (1828 წ.), ეხლა სოფ. რაბათში 38 კომლი ვართ ხახალაშვილები, ჩვენ ვიყავით უწინ გვარად **თარხანაშვილები**; 85—90 წლ. კაცი ვარ და ერთიც ჩემი ხნისაა, მოლლა ისა ალი ოღლი ხახალაშვილი, აი ეს ორნი კიდევ ვლაპარაკობთ ქართულად. ყველამ ჩვენი ხნისამ ქართული ლაპარაკი კარგად იცოდნენ და ახლა კი ახალგაზდობა წახდა, ქართული აღარავინ იცის. ჩემი დედის დედა არ დაბრუნდა, ქრისტიანად მოკვდა, ზურზუნაში სცხოვრობენ ბეგები ორბელიანები—5—6 კომლია, ახალ თაობის პაპამ ნაიმ-ბეგმა ორბელიანმა კარგად იცოდა ქართული, დღეს კი რუსული თუ იციან თორე ქართული კი აღარავინ. ზურზუნაში კიდევ სცხოვრობს ერთი გვარეულობა ჯანაშვილი“. *)

III

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“ ამგვარად ჩილდირში და მთლად გოლა—არტაანში რა საქმიანობა უნდა გამოიჩინოს, ძრიელაც რო გულმოდგინედ ეცადოს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ახალქალაქის განყოფილება!? მთელი ეს მხარე საქართველოს ისტორიის და არხეოლოგიის ინტერესს თუ ღა შეადგენს.—მაშასადამე, დარჩა მხოლოდ ჯავახეთი (აგალქალაქის მაზრა) სადაც უნდა იმოქმედოს აქაურმა საქველმოქმედო განყოფილებამ, რომლის გამგეობამაც დაადგინა ქართული სკოლები გახსნას მიყრუებულ სოფლებში. მთავარმა გამგეობამ უკვე ნება მიიღო ოლქის მზრუნველისაგან თანახმად ახალი კანონისა (1 მკათათვის 1914 წ.) ქართული სკოლა გახსნას სოფ. თოკში. ახალქალაქზე 18 ვერსით არის დაშორებული, დასახელებულია ორივე რჯულის ქართველებით, თავადები არიან ბეგები აბაშიძეები. საზოგადოდ მესხეთში და ჯავახეთში, სადაც კი ორივე რჯულის ქართველობა სახლობს, იქ თათრული ენა მეფობს. არც სოფ. თოკი ასცდენია ამ უცნაურ მოვლენას. თუმცა კი ადვილი ასახსნელია—მეფობს იმიტომ, რომ ამ 88 წლის წინეთ აქ ოსმალნი მეფობდნენ—რჯული, ენა, ეთიკეთი დაამყარეს.

ჰო და ახლა უმთავრესი საზრუნველი და საჭირ-ბოროტო საკითხია: ვის გამოგზავნის მასწავლებლად მთავარი გამგეობა? საქმე ახლავე, დასაწყისშივე უნდა დადგეს ჯეროვანად. თოკის სკოლის მასწავლებელი უნდა იყოს შეგნებული პედაგოგი, იდეით გატაცებული ადამიანი. თუ კი მოიპოვება მასწავლებელი ქალი სჯობს. რა თქმა უნდა სკოლას უნდა დაუნიშნოთ მოლლა მასწავლებელი მაჰმადის რჯულისა.

როგორც მაჰმადიანი ისე ქრისტიანი ქართველები ერთს ტაფაში იწვიან დროთა უკუღმართობით ბრუნვის გამო და ერთნაირათ არიან ჩაცვივნულ სიბნელის ჯურღმულში, ცრუ რწმენებით გაჟღენთილნი, ულმობელ ცხოვრების კანონით დასჯილნი, დაჩაგრულნი, ჰო და დედა აზრი ამ სკოლისა უმთავრესად აი ამაში მდგომარეობს: ჩვენი მოძმენი, მოამაგდარე ჯავახელი ქართველები განურჩევლად რჯულისა უნდა გამოვიყვანოთ მზის სინათლეზე. სწავლა განათლებით, კულტურით ჯავახელნიც იმ საფეხურამდე უნდა ავიყვანოთ, რა საფეხურზედაც ქართლი და იმერეთი სდგას. დროა ესენიც განვითარდნენ, შეიგნონ, რომ ეხლა ის დრო აღარ არის უწინ რო დროს ჰკარგავდნენ კამათზე—ყურანი სჯობს თუ სახარება და ერთმანეთს აღიზიანებდნენ, მტრობას სთესავდნენ მოლლები და მღვდლები: შენ ურჯულო ხარო; შენ კიდევ გიაური ხარო და სხვა უარესები (უკაცრაული პასუხია ეგ ქრისტიანების საქმე იქნებაო და სხვ.) **„ჰაშა ჰერმათდან ქრისტიან ოლლურ“** დიაღ, დროა შეიგნონ ჩვენმა ღვიძლმა ძმებმა მაჰმადიანებმა, რომ ეხლა სულ სხვა ვარჯიშობაა საჭირო, თუ რო გვინდა ჩვენც მარაქაშში გავერიოთ, ჩვენც ქვეყნიერებაში ადამიანად ვიხსენიებოდეთ და ევროპიელების მონათ სათამაშო თოჯა-ტიკინად არ შევიქნეთ. აბა, რას იზამ, ყარდაშ, ევროპიელი გმირი ცოდნით და ჭკუა-გამოცდილებით აღჭურვილი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულა და გაიძახის: ან გვერდში ამომიდექ, ჩემი სწორი გახდი, ჩემამდე მოიყარეო ან მეყმე, მონად გამიხდიო, ჰო და ახლა, რომელიც გიჯობთ ის ამოირჩიეთ...

ვიმეორებთ, თოკის სკოლა პირველი ნაბიჯია ქართულ კერძო სკოლისა ჯავახეთში. ყოველივე მასწავლებელზეა დამოკიდებული, როგორის სიფრთხილითაც, სათუთად მოექცევა მაჰმადიანთა ნაზს სულიერ გრძნობას, რელიგიურ რწმენას და თვით მათს ცრუმორწმუნოებასაც. მხოლოდ ამ გვარის ქცევით შეგვიძლია დავიცვათ და განავითაროთ ურთი-ერთი კეთილი ძმური განწყობილება ორივე მერჯულე ქართველთა შორის, არავითარ შემთხვევაში აჩრდილმაც არ უნდა იჩინოს თავი, მითომ ქრისტიანებს რამეში უპირატესობას აძლევს მასწავლებელიო.

**ილ. ალხაზიშვილი.**

(დასასრული იქნება)

*) ახალქალაქს **რაბათი** ერქვა.

*) ორბელიანის და ჯანაშვილის ოჯახს აგრეთვე ორიოდ კომლ რაბათელებს დახმარება აღმოუჩინა ახალქალაქის სარაიონო განყოფილებამ.

# დაბა-სოფლები

**ს. ეწერი.** (ქუთაისის მაზრა). თითქმის ხუთი წელიწადია, რაც სოფლის მკვიდრთა და რამდენიმე სტუდენტთა შორის დაიბადა აზრი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისა. ამ ხუთი წლის განმავლობაში ბევრი რამ გადაეღობა წინ პირველ კულტურულ ნაბიჯს ამ სოფლისას; ბევრი უკმაყოფილება და დამცირება აიტანა კეთილ საქმის სათავეში მდგომმა პირებმა, მაგრამ მაინც იმდენი აქტივობა და სიმხნევე გამოიჩინეს, რომ თუმცა დაგვიანებით, მაინც კეთილად დააბოლოვეს დაწყებული საქმე და მაისში უკვე აკურთხეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო სულმნათ აკაკის სახელობაზედ.

გვეგონა, სოფლის მკვიდრნი უფრო მხნედ და დაუღალავად შეუდგნებოდნენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს არსებობისთვის ქონების შეძენას და ზაფხულის განმავლობაში, რამდენიმე სტუდენტთა დახმარებით ცოტაოდენ რამეს შესძენდნენ ახლად დაარსებულ, ჯერ-ჯერობით გაძვალტყავებულ კულტურულ დაწესებულებას წარმოდგენის ანდა სალიტერატურო საღამოს გამართვით, მაგრამ იმედი არ გაგვიმართლდა. ვითომ მოინდომეს წირმოდგენის გამართვა სამკითხველოს სასარგებლოდ, რომ რაიმე მოგება დარჩენოდათ და საშვალება მისცემოდათ სამკითხველოს თვის საკუთარ ბინის შეძენისა, მაგრამ აღძრული საკითხი ისევ საკითხად დარჩა. გამგეობა, კვირაში ორჯელ კრებას იწვევდა სამკითხველოს არსებობის საშვალების გამოსაძებნად, ზოგი რა აზრს უზიარებდა დამსწრეთ და ზოგი რას. მოწვეული კრება მუდამ უსაფუძვლო ლაპარაკითა და აყალ-მაყალით ბოლოვდებოდა და წინ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი ვერავინ ნახა.

ვითომ მეორეთ გადასწყვიტეს წარმოდგენის გამართვა 21 მკათათვეს, მაგრამ სულ უბრალო საგანზე ლაპარაკმა საქმე ჩაშალა.

**მიღომე.**

# თეატრი

**ხონი**

**სანდრო კავსაძის კონცერტი**

სამშაბათს, 2 მარიამობისთვეს, სანდრო კავსაძემ გამართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობდენ ადგილობრივი მოზარდი თაობა და ბავშვები. კონცერტი ფრიად კარგი იყო და შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან. შესრულებულ სიმღერებს შორის დამსწრე საზოგადოებას მოეწონა: „მთა წმინდა“, „მშვიდობით უთხრა“,—სიტყვები გრ. აბაშიძისა, „დაიგვიანეს“—პატარა კახიდან და „ვედრება“ ბავშვთა გუნდის მიერ შესრულებული. ბავშვებმა და ახალგაზრდა პოეტმა ცვარ-ნამმა წაიკითხეს ლექსები—უკანასკნელმა თავისი ლექსები. ძლიერ მოსაწონია ბ. სანდრო კავსაძის ეს ახალი იდეა, რომ სიმღერებს ადგილობრივ ასწავლის, როგორც მოზარდ თაობას, ისე ბავშვებს, ასეთის საშვალებით უფრო ადვილად გავრცელდება ქართული სიმღერები. კონცერტს აუარებელი საზოგადოება დაესწრო, და დიდად ნასიამოვნები დაიშალა. აქედან ბ. სანდრო კავსაძე მიდის სამტრედიაში ასეთივე კონცერტის გასამართავად. ვუსურვებთ, რომ მის შრომას ძლიერი ნაყოფი გამოღოს.

ხუთშაბათს, 28 მკათათვეს, ადგილობრივ დრამატიულ დასის მიერ მარო მდივანის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქმნა „ქრისტინე“. ხალხი ბლომად დაესწრო. შაბათს, 30 მკათათვეს წარმოდგენილ იქმნა „მაწანწალა სამოთხეში“, კვირას, 31 მკათათვეს „მეზობლები“, ხუთშაბათს, 11 მარიამობისთვეს გაიმართება ბენეფისი მსახიობის მ. ნემოსი.

შაბათს, 6 მარიამობისთვეს ადგილობრივ დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა ალ. ყალაბეგიშვილის საბენეფისოდ, „მსხვერპლისთვის მსხვერპლი“ დრ. 3 მოქ. დიაჩენკოსი, თარგ. ა. ცაგარლისა და ვოდევილი „თავის ბრალია“. ბენეფისს ხალხი ძალიან ბლომად დაესწრო, ასე რომ უბილეთობის გამო ბევრი უკან გაბრუნდა. მობენეფისეს აგრეთვე მიართვეს საჩუქრები.

კვირას, 7 მარიამობისთვეს, წარმოდგენილ იქმნა „უბედური ნაბიჯი“, დრ. 3 მოქმ. კარეევისა, თარგ. შალვა დადიანისა.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთში, რითაც საშუალებას მომცემთ აღვადგინო ჩემი სიმართლე.

„თანამედროვე აზრი“-ს № 170-ში მოთავსებულია „გიჟი“-ს ფსევდონიმით წერილი სადგურ მიხაილოვის მუშათა ცხოვრებიდან, სადაც აღნიშნულია შემდეგი: მიხეილ ლაზარევი სასტიკად ექცევა მუშებს, არ ათავისუფლებს სადილისათვის, ლანძღავს მათ და სხვა ასეთებითო“.

ჩემი პასუხი შემდეგი იქნება. ვინაიდან არიან გამოყოფილი მუშები საქონლის სადგურის საწყობისთვის, ამიტომ ისინი ერთად ემსახურებიან სახალხო და საქონლის საწყობ სადგურს. არის ხოლმე ისეთი შემთხვევა, რომ მუშები 12 საათს ვერ თავისუფლდებიან ზემო აღნიშნულ მიზეზების გამო, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფლდებიან სადილისთვის 12 საათის შემდეგ. თანახმად რკინის გზის კანონებისა, მწონელი მუშებთან ერთად უნდა მუშაობდეს, არა აქვს მას უფლება ერთ წამსაც ღია ვაგონები დასტოვოს მუშების ხელში.

რაც შეეხება ჩემი მხრიდან გასამრჯელოს აღებას, გაზეთების კითხვის აკრძალვას და მუშების ლანძღვას,—ეს ცილის წამებაა, რისთვისაც უმორჩილესად ვსთხოვ წერილის ავტორს გამომყვეს სამედიატორო სამართალში. მედიატორების ასარჩევად ვაძლევ ერთი კვირის ვადას დღეიდან ამ წერილის დასტამბვისა. ჩემი მხრიდან ვასახელებ ბ. ტრიფონ იასონის ძე ჯაფარიძეს და იოსებ საველის ძე ძნელაძეს. თუკი ბატონი „გიჟი“ ამ ჩემს კანონიერ მოთხოვნილებას უარს ჰყოფს და სამედიატორო სამართალში არ გამომყვა, ნება მეძლევა საჯაროთ აღვნიშნო, რომ წერილის ავტორის ფსევდონიმი უტყუვრად ამტკიცებს მის მოქმედებას კორესპონდენტის ასპარეზზე.

**მიხეილ ლაზარევი.**

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ილიკო, ეპლაოზი, ერასტო და სიმონ ლევანის ძეთ ხაინდრავებს, რომლებმაც კეთილი ინებეს და ლეხაინრაოის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ ასი მანეთი შემოსწირეს.

ლეხაინდრაოის სოფლის მცხოვრებთა მინდობილობით **ივანე ხაინდრავა.**

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 | „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 7 | „ | 58 | „ საღ. |

თუ გსურთ, მიმართეთ

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

✦✦ ხელმისაწვდენ ფასებში ✦✦

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

„სორაპნის“ გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო
ქართველი მწერლები
ნაწილი პირველი. ფასი 1 მანეთი.
კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებელში ამ წიგნის ხმარება ნება დართულია.
იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნი
ქართველი მწერლები
ნაწილი მეორე. ფასი 1 მ. 50 კაპ.
პარტიით მყიდველთ შეუძლიანთ მიმართონ თბილისში, წერა-კითხვის მაღაზიას და გამომცემელს. სტამბა „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძეს.
(10-295-4)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმოროთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სარეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალადა, მცირე მარილიანი, შავი „ჯმ-შოხნა“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯ და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება“ კოლოწოლცევისა, ცხაბატის შესახვევი № 4.